სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
37410562492020

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200196723

რეგისტრაციის თარიღი

24.02.2020 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 ნნ 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოცდაოთხ თებერვალს, მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა # 16 მომმართა ლევან გოგსაძემ. მან განაცხადა, რომ არის შპს "ჯი-თი გრუპ" (საიდენტიფიკაციო: **200119923**) დირექტორი და სურს თამარ ტუღუშს მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად ლევან გოგსაძემ **(დაბ.27.01.1971** წელს, თბილისი, პირადი # **01024009478,** რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, კახა შევარდენიძის ქუჩა, **N 1, ბინა 60)** მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

მე, მოქ. ლევან გოგსაძე, როგორც შპს "ჯი-თი გრუპ" -ის (საიდენტიფიკაციო: **200119923**) დირექტორი შემდეგში მოხსენიებული როგორც `მიმნდობი პირი~, თამარ ტუღუშს (**დაბ.19.03.1979 წ, პირადი # 01008001788**) რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც `მინდობილი პირი~, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს შპს "ჯი-თი გრუპ"-ის წარმომადგენელი შპს "ჯი-თი გრუპ"-ის (საიდენტიფიკაციო:200119923) კუთვნილ უძრავი ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, **დავით აღმაშენებლის ხეივანი N 218, საკადასტრო: N 01.72.14.014.909** მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, იუსტიციის სახლში, ყველა საჯარო ინსტანციაში, გამგეობაში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქალაქის არქივებში, საამზომველო ფირმებში, ზედამხედველობის სამსახურში, სანოტარო ბიუროში, თვითმმართველობის ორგანოებში, მერიის არქიტექტურულ სამსახურში, რათა მიიღოს უძრავი ქონების მშენებლობის/ დემონტაჟის/ ექსპლუატაციაში ჩაშვების ნებართვა/სარეკლამო აბრის განთავსების შესახებ უძრავი ქონების დემონტაჟთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციაში ჩაშვებასთან და სამშენებლო პროექტის დამზადება/შეთანხმებასთან დაკავშირებით, ნებართვა, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს ჩემი ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს/შეიტანოს/გამოიტანოს სამშენებლო პროექტი, მოახდინოს ფართების დაზუსტება, კორექტირება/ცვლილება, რეგისტრაცია, ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი სს ,,თელასი"-ში, წყალკანალში, კომპანია შპს ,,ყაზტრანსგაზი თბილისში"-ში, შპს „სოკარ გაზის „ ნებისმიერ ფილიალში, თბილისის წყალკანალში და სხვა ნებისმიერ საკომუნიკაციო ორგანიზაციაში. ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, და სხვა დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობაშეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:
შპს "ჯი-თი გრუპ" -ის (საიდენტიფიკაციო: **200119923**)ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე